

აჭაჭი.

201
2

სიტყვა სიმული

ერთ არჩევანზე

დბ

საუბარი ვამა ფვილს უუა

ტფილისი

მსწრაფლ-საეჭადვი „მბიისა“, ძაასკოვის ქუჩა, № 5.

1908

U. H.

ა კ ა კ ი.

სიბჟუა თქმული

ერთ არჩევანზე

ღა

საუზარი მამა უვილს უშა

~~1908~~ 201

ტფილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი „მომბეჭდა“ ქობულაძის ქუჩა, № 5.

1908

სიწყვა თქმული ერთ არჩევანზე.

ორმოცდა ათი წელიწადი შესრულდა, ზაც მე ვემსახურები სამშობლოს თავ-დადებით და გულ-წრფელად, ვგები, შემცდარი ვარ გზის არჩევაში და ჩემმა თავ-დადებამ ნაყოფი ვერა მოიტანა რა, მაგრამ გულ-წრფელობას კი ვერაფერ მიკითხინებს!.. საზოგადო საქმე ყოველთვის ყოფილა და არის ჩემთვის „წმინდა-წმიდათა“. ვერც პირადობა, ვერც სისხლ-ხორცობა და ვერც მტერ-მოყვრობა ვერ გადამახვევინებს!.. მე ვეკუთვნი მესამოცე წლების გუნდს. ვინც მომსწრე არ არის და არ ახსოვს, იმას შეუძლია ჩემი ნაწერებიდან გაიგოს, რომ ბევრი რამ არ მომწონდა იმ მესამოცე წლების მოღვაწეობიდან და წინააღმდეგიც ვიყავ და რაც მომწონდა მისთვის კი თავსაც ვსდებდი. დღევანდელი მოძრაობა, რასაკვირველია, არა ჰგავს მაშინდელს, მაგრამ მე ვერც დღევანდელ მოძრაობას ვეთანხმები სავსებით!.. ბევრი რამ მომწონს თვითეულ დასში და არ შემიძლია, არ თანავუგრძნო!.. და ბევრი რამ ჩემთვის მიუწოდომელია და ვერც ვეთანხმები. აი სწორედ ამიტომ არც ერთ დასს არ ვეკუთვნი, რომ სავსებით მივეუდგე!.. ჩემი გრძობა-გონება დაუმოკიდებლად მინდა შევინარჩუნო,

ვიმოქმედო ისე როგორც თვითონ განვსჯი და არა ბრძანებით. ყველაზე პირველად მე ქართველი ვარ, რადგანაც ქართველად დავბადებულვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე შოვინისტი ვიყო. სხვა ხალხის უჭედურებით, რომ ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი ეს არ მინდა და არც ჩემ ხალხს შევსწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. ჩემი სურვილია, რომ ყველა თავ-თავისად ბედნიერი იყოს, ერთი-მეორის გადაუკიდებლად. მაგრამ როცა ორის მხრით მტერი მომდგარა ჩემ სამშობლოზე, რომ ჩაყლაპოს, მაშინ არ შემიძლია, მოსაგერებლად ფარი არ ავიღო ხელში, იმ მოსაზრებით, რომ „შოვინისტი“ არავინ დამიძახოს მეთქი. ვისაც წარსული არა აქვს შესწავლილი და არ უკვირდება აწმყოს, იმას არც მომავლის გათვალისწინება შეუძლია. ქართველები „ასი წლის“ მეოხებით სხვა ხალხებზე ჩამორჩენილი ვართ და ამიტომაც უფრო შორი გზა გვაქვს გასავლელი. და ვინც შორს მიდის, იმან ის უნდა იფიქროს, თუ როგორ მომარჯვებით გადადგას ბიჯი-ბიჯზე, რომ მიზანს მიაღწიოს, თორემ ხტუნვით ვერ გაივლის. და ამიტომაც უთქვამთ ჩვენ ძველებს; „აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიაო“. აი ამ აზრის მიმდევარი ვიყავ ჩემ სიცოცხლეში და ესევე უნდა ჩავიტანო საფლავშიაც!..

ამ აღსარების შემდეგ, მე არც ერთი დასის თანა-გრძნობას არ მოველი, მაგრამ მაინც ვიდგამ საარჩევნო ყუთს და აი რა მოსაზრებით: სახალხოთ გავრცელებულია ხმა, ვითომც, მესამოცე წლების

მოღვაწეები, აღარაფერში ერეოდენ, არა თანა-
 უგრძნობდენ თანამედროვე მოძრაობას და ყოლი-
 ფერზე ხელი აეღოსთ!—ეს ტყუილია!.. მართალია
 დღევანდელი ჟურნალ-გაზეთები უკანვე გვიბრუნე-
 ბენ ჩვენ ნაწერებს, მითქმა-მოთქმის გასამართლე-
 ბლად, რომ ვითომ ჩვენ ჩამოვშორებოდეთ ყოლი-
 ფერს, მაგრამ ვიმეორებ: ეს ტყუილია! და მეც
 დღეს მხოლოდ ამიტომ ვიდგამ საარჩევნო ყუთს,
 რომ მიზეზი არავის მივსცე თქვას: თვითონ ჩამოვ-
 ვშორდამ!



ს ა უ ბ ა რ ი

მამა-შვილს შუა.

მამა. მოდი შვილო, ერთმანეთს გული გაუხსნათ. თუ ჩვენი ვერა გაგიგიათ რა, თქვენი მაინც გაგვაგებინეთ, რომ ჩატეხილი ხიდი აღარ იყოს ჩვენ შუა.

შვილი. ეგ ტყუილი მოცდენა იქნება!.. ჩვენ უნდა მაინც გაღმა-გამოღმა დავრჩეთ. ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „დრონი მეფობენო“. დროს თავისი მოაქვს. კაცი რომ დაბერდება, თმაში ჭალარა შემოეპარება, სიყმაწვილის ელფერს დაჰკარგავს, სახე დაუქკნება, სხეული კლებას იწყებს და ხორციც მოეშვება. რალა თქმა უნდა, რომ მაშინ გონებაც იჩლოუნება!..

— ჭეშმარიტია!.. რაცა სთქვი, ეგ ყველა ბუნების კანონია!.. მაგრამ ერთი არაკი მინდა გითხრა და ყური დამიგდე!..

ერთს ვისმეს, რომ დაიბადა, მილიონი დაანათლიავეს და უთხრეს: ეს ხარჯე შენ სიცოცხლე-შიო! იმანაც გაუსვა ხელი, ზოგი თავისთავზე დახარჯა, ზოგი საქველ-მოქმედოთ ქვრივ-ობლებს გადააგო, ზოგი აქეთ, ზოგი იქით და სხვანი.

გაიარა დრომ, სიბერე შემოეპარა, დაჯდა და იანგარიშა. ნახა, რომ ქონების ნახევარი შემოხარჯოდა და მხოლოდ ნახევარი მილიონიღა დარჩენოდა. ამ დროს გამოიარა ერთმა ვინმე ახალგაზდამ და მედიდურად უთხრა: გზა მიტიე, ბერო კაცო, წინ ნუღა მეღობები! შენ შენი დრო გაგიტარებია, რაც გქონია გიხარჯავს და ახლა მე უნდა დავიჭირო შენი ადგილიო. რაც მიმიღია ჯერ ისევ ხელუხლებლად მაქვს და ახლა უნდა დავიწყო ხარჯვაო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა მოგცეს იმ თავით და რამდენი გიჭირავს ხელშიო? — შეეკითხა მოხუცი — ასი თუმანიო! რომელიც ჯერ არ დამიხარჯავსო! — მიუგო ახალგაზდამ. — ცოტააო — განაგრძო მოხუცმა — ეს ფული სახარჯოდ დიდხანს ვერ გასტანს და სიბერემდე აღარა მიგყვება რაო. მე კი, მართალია, რომ დავბერდი ნახევარი დამაკლდა, მაგრამ ნახევარი მაინც კიდევ დამრჩა და ის ნახევარიც, შენ რომ დღეს გაქვს, იმაზე ერთი ათასად მეტიაო. ამისი არ იყოს, ჭკუა და ნიჭიც სიმდიდრეა, ყველას თანასწორად არ ეძლევა; ვისაც ბევრი დაჰყვება, იმან ბევრიც რომ ხარჯოს მაინც კიდევ საყოფი დარჩება სიბერეშიც და ვისაც ცოტა აქვს იმან რაღა უნდა შეინარჩუნოს?

— ეგ ხომ აზრის თამაშია და სიტყვის ბანზე აგდება?! დღევანდელ ჩვენ ყოფას არ შეჰფერის!..

— ვინ ამბობს, თუ თქვენ შეგეხებათო? თქვენ, ეგები, მართლა მდიდრებიც გამოდგეთ, მაგრამ მე კი საზოგადოდ ვამბობ.

დღევანდელმა სტიქიონურმა მოძრაობამ უკულმართად წაგრაგნა ჩვენი ნახევარ-საუკუნის იმედი, მაგრამ ჩვენ კი მაინც გულს არ ვიტყვით!.. ეს ყოლიფერი დროებითია... წარმავალი და როდესაც აღელვებული მდინარე თავისს კალაპოტშივე ჩადგება; მაშინ მის გადარეცხილ-გადაწმენდილ კედლებზე უფრო ადვილად და თამამად ამოიყრის ჩვენივე მისწრაფება.

— ღმერთმა ნუ ქმნას!! თქვენ გინდათ, რომ ძველსავე დავუბრუნდეთ?

— დიახ წარსული, აწმყოს მშობელია, ქვა-კუთხედად უნდა დაედვას მომავალს.

— წარსული?! ის რომელიც თავის დღეში არა გვქონია ქართველებს?

— როგორ თუ არა გვქონია? ხალხმა ორისამი ათასი წელიწადი იცხოვრა თავის საკუთარ ელ-ფერით, იწოდებოდა ქართველ ერად, სამეფოდ!.. მწარე, თუ ტკბილი, მაინც თავისი ქონდა ისტორია და ახლა ამბობთ ამ ხალხზე: წარსული არა ჰქონიაო?

— ის წარსული მოსაგონებლადაც კი საზიზღარია!.. რასა ვხედავთ იმ დროებში? მეფობას, ბატონ-ყმობას, სხვა და სხვა წოდებათა განსხვავებას, უთანასწორობას, ძალ-მომრეობას და სხვანი... იმას, რისაც დღეს წარმოდგენაც კი ძნელია და თქვენ გინდათ, რომ ესეები ყველა ისევ თავზე მოგვახვიოთ?

— არა! მაგრამ ყველაფერს კი თავისი სასწორ-საზომი აქვს. ერთი საუკუნე მეორეს არა ჰგავს. თვითოეულ მათგანს თავისი საკუთარი ფერ-ხორცი და ცხოვრების შესაფერი წეს წყობილება აქვს. ბევრი რაჟი, რაც წინეთ აუცილებლად საჭირო ყოფი-ლა, დღეს აღარ გამოდგება. ძველად, აღბათ, ცხო-ვრებას გამოუწვევია მეფობაც, ბატონ-ყმობაც, და სხვა და სხვა წოდებაც, რაც დღეს აღარ არიან საჭირო. მაგრამ აქ წარსულის რა ბრალია და დღე-ვანდელის თვალით რათ უნდა შევხედოთ მრისხა-ნედ? ძველთაგან დიახ ბევრი რამ ლაგვრჩენია მი-სთანა, რომელიც დღესაც კიდევ თვრიტად დაედე-ბა აწმყოს და მომავალსაც, ქვა-კუთხედად და რად უნდა მივაქციოთ მათ ზურგი? წარსულის დავიწყე-ბა და უარყოფა ნახევარი სიკვდილია. რაც კი კარგი რამ, დღეისათვისაც კიდევ გამოსადეგი გად-მოუცია ჩვენთვის წარსულს, ის „წმინდა-წმინდათა“ უნდა დარჩეს. და რაც აღარ გამოდგება სადღეი-სოდ, ის ვისთვის-და რა ხელ-საყრელი იქნება?!. სული უნდა დარჩეს ძველისა ხორცი კი დღევან-დელი უნდა შევასხათ, შესაფერი და ეს სული არის ეროვნება!.. ქართველობა.

— ჰო, ქართველობა!.. კიდევ მაგან ჩაამტვრია ხიდი ჩვენ შუა. ჩვენ ეგეები აღარა გვრწამს. ქვეყა-ნაზე უნდა მთლიანი კაცობრიობა იყოს და არა ეროვნება!.. ეროვნობას მოსდევს თავმოყვარეობა, მტრობა, შური და ესეები ყველა ხელს უშლის კა-ცობრიობის აღყვავებას!..

— კაცობრიობის აღყვავებას, ამბობ? განა ჩვენ კი მაგისვე მიმდევარი არ ვიყავით? მაგრამ, საქმე ის არის, ვის როგორ ესმის ეგ მცნება?

— დიახ! ესე იგი ვინ სცდება და ვინ არა?

— არ ვიცი, მაგრამ გულ-წრფელად კი ვალვი-
არებ: ერთ დროს, ძველად ოდესმე, ბერძნები ჰარ-
მონიას ღმერთად აღიარებდნენ. და მართლაც, რომ
ის დიადი ძალაა. ბუკის ძახილი, საყვირის კივილი
და ბობლანის ბლავილი ცალ-ცალკე ყურს უსიამოდ
ესმის, მაგრამ როცა იმათ წინწილებიც შეუერთდე-
ბიან, ყველა ერთად შეკავშირ-შეხმატკბილდება, მა-
შინ გამოდის სამუზიკო, გარმონიული ხმა, რომე-
ლიც სმენასა ხიბლავს. აგრევე ერთფერობაც თვალს
ეჩხირებოდა, მაგრამ სხვა და სხვა ფერი, კეთილად
შეხამებული ერთმანეთში, მთლიანად, იტაცებს
მხედველობას და გულს ესიამოვნება. ქვეყანაც ფე-
რადოვანია. იმას აქვს ოთხი კუთხე, ოთხივე გან-
საკუთრებულის სახით. ჰაერიც სხვა და სხვა ნაი-
რია, მცენარეც და ცხოველიც. ფერადოვან, სამო-
თხისებურ მთლიანს ცალ-ცალკე, ვერც ერთი ვერ
შეადგენს, მაგრამ ერთი მეორის ნაკლს ავსებს, ერთ-
მანეთს უერთდებიან და ყველა ერთად კი ერთს
მთლიან-სოფლიოს აღგენენ, რომელსაც დედა მი-
წა ჰქვია და რაც ასე გვიზიდავს ჩვენ. ამავე კა-
ნონს ექვემდებარება თელი კაცობრიობაც! ფერა-
დოვანობას ვერ გაუსხლტება ხელიდან. ყოველ კუ-
თხეს თავისი შესაფერი ხალხი ასხია—აღმოსავლეთე-
ლი არა ჰგავს დასავლეთელს და ჩრდილელი სამ-

ხრეთელს. მათი გათანასწორება შეუძლებელია!.. საკუთარ ელფერს დააკარგვინებ და სხვას ვერ მიაღებინებ ხორციელად! ყველა თავ-თავისის განშვენებულის ხორციით უნდა იყოს და სული კი ყველას ერთი უნდა ედგას... სული კაცობრიული!.. აი ამას უნდა სცდილობდეს ყველა შეგნებული, ვინც კი ქვეყნისათვის ზრუნავს. — ასე ვფიქრობდით ჩვენც და „შეგნების-სადგურისაკენ“ ცხოვრების გზა, შეძლებისა და გვარად, გაგვყავდა, რომ ჩვენ მოძმეებს გავლა გაადვილებოდათ. ვტკეპნიდით, ვჰკაფავდით ეკლიან გზას; მის კეთებაში ოფლთან ერთად სინხლის ცრემლებიც ბევრჯელ დაგვიღვრია. დიდი გზა გავიყვანეთ და ახლა სიბერემ მოგვისწრო. დღეს თქვენი ვალია რომ გააგრძოთ!.. მაგრამ თქვენ გაუჭირვლად მისულხართ იქამდე, სანამდისაც ჩვენ გზა მივიყვანეთ და, მის ნაცვლად, რომ გააგრძოთ ის, მოგიბრუნებიათ პირი და ღრიალებთ: არიქა დააქციეთ ეგ უკულმართი გზა!.. სდევნეთ მუშებიო და სხვანი. რათა? თუ ის გზა მართლა უვარგისია, თქვენ რაღათ სცდებით? ის, თავის თავადაც, როგორც უვარგისი და გამოუსადეგარი, დაიქცევა. არ გიჯობსთ, რომ ახლა თქვენ გაიყვანოთ უკეთესი, უფრო სწორი და მოკლე.

— კი, მაგრამ გვეშინია, რომ მაგ თქვენმა შოვინისტურმა გზამ არავინ წაიტყუოს!..

— როგორ თუ შოვინისტურმა?!

— დიახ, შოვინისტურმა!.. თქვენ, თქვენ სიცოცხლეში მხოლოდ თქვენი ერი, თქვენი ქართვე-

ლობა გწამდათ; იმათ ეტრფოდით და იმას უგალობდით. სხვა ხალხი ხალხად აღარ მიგაჩნდათ!.. მტრულის თვალთ უყურებდით!.. უყეფდით!.. და მტრობას აგდებდით.

— ეგ არ არის მართალი!.. ჩვენ მხოლოდ ვამხნევებდით ხალხს... გულს უმთელებდით!.. საქებს ვაქებდით და წუნსადებს ვაძაგებდით. აგრევე სხვა ერებთანაც ვიქცევოდით: ვეძებდით მათთან ძმობა-გრობას, სიყვარულს და ვუყეფდით მხოლოდ იმათ, ვინც ჩვენ ხალხზე სამტროდ მოდიოდა. და ეს, მგონი, არ უნდა იყოს შოვინისტობა? ჩვენ ძველებსაც, რომ მტერი აღარ მოეგერებიათ, შოვინისტობა არ შეგვეწამონ, რა იქნებოდა?!. არა, შოვინისტობა და საძაგლობა ის არის, როცა გაურჩევლად, შენი ხალხის ცუდიც კი მოგწონს და სხვების მტრობა უბედურობით ეძებ შენი ხალხის კეთილ-დღეობას, და ჩვენ კი ამ გვარი რამ ფიქრადაც არ მოგვსვლია.

— კი მაგრამ მაგ „ეროვნობის“ მიმდევრობამ დაგავიწყათ პირველი მოვალეობა... ქადაგება: ერთობის, თანასწორობის, ძმობის და სიყვარულის მხოლოდ ჩვენ შემოვიღეთ ხალხში.

— შემცდარი აზრია. ეგეები ყოლიფერი ისეთივე ძველია, როგორც თვით კაცობრიობა. ვინ იცის, რამდენი საუკუნით ქრისტეს წინედ ყოფილა მაგაზე საუბარი?! ეგ არ იყო ბუდდას მოძღვრება? მაგას არ ჰქადაგებდა ქრისტე? და მაგასავე არ გვასწავლის სახარება? ქართველებს, როგორც ძველ-

თავან ქრისტიანებს, შესისხლ-ხორცებული ჰქონდათ ეგ მოძღვრება. მეთორმეტე საუკუნეში რუსთველის პირით აღიარა, რომ თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“-ო და „სიყვარული აღგვამაღლებს“.

— ეგ ცარიელი სიტყვა იყო და სიტყვადაც დარჩა!..

— თქვენ რომ წარსულისადმი ზურგი არა გქონდესთ შექცეული, მაშინ ისტორია გეტყობდათ, რომ ეს მოძღვრება საქმედ ჰქონდა ქართველობას გადაქცეული. აფასებდა პირად ღირსებას და არა მარტო ჩამომავლობა-გვარიშვილობას. და ისიც ამის ბრალია, რომ ამ პატარა ერმა, მცირე სამეფომ, რამდენიმე ათასი წელიწადი, მეცხრამეტე საუკუნემდე, გასძლო საკუთარის ელფერით.

— მართალს ამბობს კი ისტორია?

— ღმერთი ჰკუთით იცვნეს!.. ამას საქმე გვიმტკიცებს და დღესაც კიდევ ბევრი მაგალითი გვაქვს სათვალ და თვალთ. მოვიყვან ერთ მათგანს: მამუკა ნიკოლაძე, სკანდელი გლეხისშვილი, საბახტა ჰყავდა ანნა აბაშიძის ქალს. მამუკამ ვერ აიტანა საბახტა და გადავარდა ქართლში. მაშინ ქართლი სხვა სამეფოს შეადგენდა და, ვინც იქ გადავიდოდა, დაკარგულად მიაჩნდათ. გორში მამუკა ვილაც ვაქართან დადგა, მოაგროვა ფულები და თავი დაიხსნა ბატონისაგან. შვილები ვაჭრებად გამოზარდა. ერთი მათგანი, იაკობი, შესანიშნავი გამოდგა, მიხვდა რომ მარტო სიმდიდრე და გვარიშვილობა კაცს

ვერ აამაღლებდა; სწავლა-განათლება იყო საჭირო და გამოზარდა შვილები. ერთი მათგანი, დღეს ყველასაგან ცნობილი ნიკო ნიკოლაძეა.

არა თუ დღეს, გახურებულ ბატონ-ყმობის დროსაც ვინ გაუბედავდა და ვინ ეტყოდა რომელი მეფის ჩამომავალი, რომელი ბატონიშვალი და რომელი თავადიშვილი, რომ მე დავჯდები და შენ თავზე დამადექიო? მე წავალ და შენ მიახელო? მას არც სიმდიდრე ჰქონია, არც მთავრობისაგან მინიჭებული მაღალი რამ ხარისხი, რომ სთქვას, კაცმა: ხათრი გარეგან ღირსებისთვის დაუჭირესო!.. არა, იმას მხოლოდ პირადობის მეტი არა ჰქონია რა და მხოლოდ იმას უფასებდა ხალხიც.

— ეგ ერთი გამოვარდა...

— არა!.. მე ეგ მიტომ მოვიყვანე სამაგალითოდ, რომ ყველა იცნობს, თუ არა მაგალითი სხვებიც ბევრია!.. ასი და ათასი!..

— და მაგითი რა უნდა ვიგულისხმოთ?

— ის რომ სიყვარული, ერთობა და თანასწორობა მხოლოდ სწავლა-განათლებას შემოაქვს და არა ძალ-მომრეობას. მხოლოდ სწავლა-განათლებაა ერთად ერთი გზა სწორი მოკლე და ადვილი, რომელსაც მიჰყავს ხალხი შვების სადგურისაკენ!.. და ჩვენც, ვისაც ქვეყანა გვიყვარს და კაცობრიობაც გვრწამს, იმას უნდა მივაწვეთ. გაურჩევლად წოდების და სქესისა ყველას უნდა ჰქონდეს გზა ხსნილი და ყველამ მიიღოს სწავლა-განათლება და ვინც კი ამ ქეშმარიტ მისწრაფებას ეწინააღმდეგება...


წინ ელობება, იმაზე მივიტანოთ იერიში.

— მაშ თქვენ არ გრწამსთ დღევანდელი მოძრაობა და გაურბით?

— არა. ისე შევხარით, როგორც დედა შეჰხანძრის შვილის პირველ ბიჯის ადგმას. ახალი ფეხადგმული, ბარბაცებს, აქეთ-იქით ეხლება უსწორმასწორად, ეცემა, მაგრამ დედა გაორკეცებულის სიფრთხილით ადევნებს თვალ-ყურს, რომ არსად გადაეჩხოსო. სიხარულით უხარია კი რადგანაც დარწმუნებულია, რომ მისი შვილი კუტი არ არის და რომ წამოიზდება, მაშინ უდებლათაც სწორა გაივლის. ჩვენც ველით იმ დროს და სიხარულით შევჰყურებთ დღევანდელ დღეს. შინაური შეხლა-შემოხლა, შეცდომად მიგვაჩნია, მაგრამ აუცილებელი კია!.. მეცხვარის ძაღლებს რომ ერთმანეთში ჩხუბი მოვუათ, იმ დროს რომ სადმე მგელები გამოჩნდეს, შინაურ ჩხუბს თავს ანებებენ და ყველა ერთად გაუდგებიან ხოლმე მგელს, გარეულ—მტერს, რომ მოიგერონ!.. და ნუ თუ ჩვენ ოთხფეხის ოდენა შეგნებაც არა გვაქვს, რომ ერთმანეთს დავრევივართ?

— ეგ მოცდა საქმეს აგვიანებს და განა ცოტა ვიცადეთ?

— რა გაეწყობა, რაც მეტი გზა არ არის!.. ტყვილა კი არ უთქვამს ჩვენ ძველებს: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუქმობია“.

A decorative, ornate frame with intricate scrollwork and floral patterns, containing the title text.

ფახი ორი შაურნი.